საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 14 **30 მაისი 2025 წელი**

სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში იმ დასახლებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა და სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურების განთავსების მიზანშეწონილობის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ1“ და „კ²“ ქვეპუნქტების, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6[1] მუხლის მე-7 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1.

მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში 3 (სამი) ერთეული ავტოსადგურის განთავსება ქალაქ სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე.

მუხლი 2.

სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსადგურიდან რეისის გასვლა სავალდებულო არ არის შემდეგ დასახლებებში:

ა) ნოსირის ადმინისტრაციული ერთეული;
ბ) ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეული;
გ) გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეული;
დ) ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეული;
ე) ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული;
ვ) ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეული;
ზ) მეორე ნოსირის ადმინისტრაციული ერთეული;
თ) ლეძაძამის ადმინისტრაციული ერთეული;
ი) ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეული;
კ) ეკის ადმინისტრაციული ერთეული;
ლ) უშაფათის ადმინისტრაციული ერთეული;
მ) ხორშის ადმინისტრაციული ერთეული;
ნ) მენჯის ადმინისტრაციული ერთეული;
ო) თეკლათის ადმინისტრაციული ერთეული;
პ) ზანის ადმინისტრაციული ერთეული.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია